




# ხაშურის მთაშუა



№12 (43)

29 მარტი, სამშაბათი, 2016 წელი



## ხაშური - რამლა მეგობრობა იწყება

ეს ურთიერთობა 26 საუკუნის წინ დაიწყო, როდესაც ებრაული დიასპორა მივიღეთ, საქართველო ვუნაწილეთ, ძმასავით ჩავიხუტეთ და ერთად დავიწყეთ თანაცხოვრების სააუკუნეების ათვლა. ჩემს წინა თაობას განსაკუთრებული სიყვარული, მოგონებები აკავშირებს სურამში მცხოვრებ ებრაელებთან, რომლებმაც რამდენიმე ათეული წლის წინ დატოვეს მეორე სამშობლო და



გენეტიკური სამშობლოს შენების და გაერთიანებისთვის მრავალი ადამიანის გულწრფელი სიყვარული გაიყოლეს, ჩვენთვის უკვე შორეულ ისრაელში. ბავშვობიდან სურამში მცხოვრებ ებრაელებზე ბევრი ლეგენდა და მითი მსმენია, ამ ტყუილმართალს დიდი ინტერესით ვუსმენდი. დღეს კი ისინი კარგ



ხელოსნებად, ვაჭრებად, ორივე ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანებად შემორჩნენ მესხიერებას. ქორწილი არ გამართულა, პატარძალი არ შემოსულა ქართულ ოჯახში "ებრაელებთან ნავაჭრის" გარეშე, აქ სიტყვა, "არ იშოვება"



(დასასრული II გვერდზე)



### თანამშრომლობის მემორანდუმი ხაშურის მუნიციპალიტეტს (საქართველო) და რამლას მუნიციპალიტეტს (ისრაელი) შორის

23 მარტი, 2016წ.  
ხაშური

გვსურს რა, რომ დამყარდეს მეგობრული ურთიერთობები ხაშურის მუნიციპალიტეტსა და რამლას მუნიციპალიტეტს შორის, მხედველობაში ვიღებთ რა ორივე მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა ინტერესს, უკეთ იცნობდნენ ერთმანეთს, ისევე როგორც მათს ღრმა რწმენას, რომ ორი ხალხის მეგობრობის გაღრმავება და განვითარება ხელს შეუწყობს მშვიდობისა და ურთიერთგაგების დამყარებას, ჩვენ, ორი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები

#### რამლას მუნიციპალიტეტის მერი იოელ ლავი

#### და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი

წარმოვადგენთ ჩვენს მუნიციპალიტეტებს და ვაცხადებთ ჩვენს სურვილს ორი მუნიციპალიტეტის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ვმოქმედებთ რა ორ მუნიციპალიტეტს შორის მეგობრული საერთაშორისო ურთიერთობის სულისკვეთებით, ჩვენი მცდელობა მიმართული იქნება შემდეგი მოქმედებების შესრულებისთვის:

- ოფიციალური დელეგაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა, ნაციონალური მეურნეობის სხვადასხვა დარგების სპეციალისტთა, ტურისტული ჯგუფების, მოყვარულ ხელოვანთა, სპორტსმენების და სხვა დარგების წარმომადგენელთა გაცვლა;
  - ძირითადი ინფორმაციის გაცვლა ორი მუნიციპალიტეტის და მათი მაცხოვრებლების ცხოვრების, ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ორმხრივი ნაცნობობის განვითარებას, გამოცდილების გაზიარებას ცხოვრების ისეთ სფეროებში, როგორცაა: მუნიციპალური სერვისები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიების მოწყობა, გარემოს დაცვა, ინდუსტრია, ტრანსპორტი, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, ვაჭრობა, კულტურა, სპორტი, სოციალური დაცვა და დასვენების ორგანიზება.
- ხელშეკრულება შედგენილია ინგლისურ, ებრაულ და ქართულ ენებზე და ხელმოწერილია სამ ვგზემპლარად. ხელშეკრულების თითოეულ ვგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

იოელ ლავი,  
რამლას მუნიციპალიტეტის  
მერი

გიორგი გურასპაშვილი,  
ხაშურის მუნიციპალიტეტის  
გამგებელი

(დასასრული)

# ხაშური - რამლა - მებობრობა იწყება

არ არსებობდა-ყველაფერი იყო დახურული კარს მიღმა, ერთი ღხინი იყო და ჭირის ერთად დახვედრა. ისტორიას ცალ-ცალკე დგომა არ ახსოვს-მერე დრო დადგა, თავიანთმა ქვეყანამ დაუძახათ, მრავალსაუკუნოვანი ლოდინის ძახილით, ადგნენ და წავიდნენ, ადგნენ და გაერთიანდნენ-მხარდამხარ გაყვნენ ერთმანეთს, მწკრივად, ისტორიული გადასახლებაში წამოსვლის მსგავსად. დღეს ძლიერი სახელმ-

შეხვედრებს. ქალაქის №1 საჯარო სკოლამაც უმასპინძლათ, კადრებად გააცოცხლეს ისტორია, თანაცხოვრების, მეგობრობის, ომების. სკოლის დირექტორმა, მორის დანდურიშვილმა, ებრაულ-ქართულ ურთიერთობებისადმი მიძღვნილი საკუთარი წიგნი გადასცა სტუმრებს საჩუქრად, მათაც თავის მხრივ, სიმბოლური და სამასსოვრო საჩუქრები უსახსოვრეს სკოლას. რამლას მერის მოადგილემ აბი აბაშვილმა გაიხსენა სურამში ცხოვრების პერიოდი: - ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები სურამს უაკვშირდება, აქ გავატარე ბავშვობა და ახალგაზრდობა. ჩემი შვილიშვილები საუბრობენ ქართულად, მე მათ ორივე ქვეყნის სიყვარული ვასწავლე. მინდა, რომ ამ ბავშვებთან იმეგობრონ, ისწავლონ, რა არის ორ ქვეყანას შორის უპირობო სიყვარული.



წიგნის შვილები არიან, წელში გამართული ქვეყნის, თუმცა საქართველოდან გაყოლილი სითბო ისევ ახსოვს გულსა და სხეულს. დღესაც, აძღვნი ხნის შემდეგ, დაგმეგობრდით, კვლავ მონატრების ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს. ჩვენს წინა ნომერში ხაშურის მუნიციპალიტეტში ისრაელის ქალაქ რამლას დელეგაციის მომავალი სტუმრობის შესახებ ვწერდით, რომელთანაც უკვე მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებს. გააცანით ქალაქის ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური ცხოვრება და განვითარება.

სწორედ ამიტომ გამიხნდა სურვილი, ჩემთვის ორი მშობლიური ქალაქი დამემეგობრებინა ერთმანეთისთვის, რათა მომავალი თაობა იცნობდნენ ერთმანეთს.

გარდა ისტორიის გახსენებისა და კულტურული თავისებურებების გაცნობისა, ვიზიტი საქმიან მხარეებსაც მოიცავდა, სკოლაში სტუმრობის შემდეგ, რამლას დელეგაცია ადგილობრივ ფერმერებსა და მეწარმეებს შეხვდა.



გაეცნენ ხაშურის გეოგრაფიულ მდებარეობას, ბუნებრივ და კლიმატურ მახასიათებლებს, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოფლის მეურნეობის მიმართულებებსა და თავისებურებებს, ტექნიკურ გადაიარაღებებს. შეადარეს და ანალიზი გააკეთეს ისრაელის, როგორც ერთ-ერთი განვითარებული ქვეყნის წარმოებასთან და სოფლის მეურნეობასთან. გაესაუბრნენ ფერმერებს, გააცნეს უპირატესობები, ტექნიკური მიღწევები, რაც საშუალებას აძლევს ისეთ მცირემიწიან და მწირეწვილიან ქვეყანას, როგორც ისრაელია, აწარმოოს და შექმნას ქვეყნისთვის არათუ დამაკმაყოფილებელი პროდუქცია, არამედ მის ექსპორტზეც გააკეთოს აქცენტი. დიდი იყო ინტერესი, თუ რა ხელშეწყობის პროგრამები არსებობს სოფლის მეურნეობის სექტორისათვის, როგორ უწყობს სახელმწიფო ფერმერებს ხელს განვითარებაში, როგორია კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, რამდენად გამართულია საირიგაციო სისტემა. დაისვა მრავალი კითხვა ფერმერების მხრიდან, მიიღეს ინფორმაცია და რეკომენდაციები.



მხარე სინარულს გამოთქვამდა განახლებულ 26 საუკუნოვანი ურთიერთობის მიღებას ესწრებოდა ისრაელის ელჩი საქართველოში იოვან ფუქსი, რომელმაც თავის მხრივ, ასეთი ურთიერთობების დაწყება-ჩამოყალიბების აუცილებლობაზე ისაუბრა, ორ მომე ერთ შორის. ორივე მხარემ სამსახსოვრო და ეროვნული საჩუქრები გადასცეს ერთმანეთს და გააფორმეს ორ დამეგობრებულ ქ-

და რადგანაც ყველაფერს თავისი დასაწყისი და დასაწყისს, შესაბამისად, მიზეზი აქვს, ამ ვიზიტის შესახებ ვიამბობთ. ქალაქ რამლას მერის მოადგილემ საქართველოდან წასულმა ებრაელმა აბი აბაშვილმა რომელიც დღემდე სიყვარულით ისვენებს სურამში გატარებულ წლებს, დამეგობრება შესთავაზა ორ ქალაქს. სურვილი ორმხრივი აღმოჩნდა, 23 დეკემბერს რამლას 13 კაციანი დელეგაცია ესტუმრა ხაშურს. ხაშურის მუნიციპალიტეტში გაიმართა ოფიციალური მიღება. ორივე



ლაქს შორის პარტნიორობის მემორანდუმი. ოფიციალური ნაწილის შემდეგ, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ესტუმრნენ, სადაც წარმოდგენილი იყო საბრძოლო იარაღები, ადრეული ბრინჯაოს ხანიდან. ექსპონატებმა სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია. დიდი გულისყურით ისმენდნენ და აკვირდებოდნენ, დამეგობრებულ მუნიციპალიტეტის უძველეს ისტორიას, რომლის სიძველეზეც თავდაცვის ეს უნიკალური იარაღებიც მეტყველებდნენ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან სინაგოგისკენ განახლდა მარშრუტი, ებრაულ უბნებს, მხოლოდ ისტორია, ხუთი ებრაული ოჯახი და სინაგოგა უნახავს ძველ იერს. სინაგოგასთან სურამში შემორჩენილი ებრაელი გაეცნო თანამომეგობრებულ ებრაულ მხარე სისტემატურად ზრუნავს საქართველოში დარჩენილ ებრაელებზე. ქართულ-ებრაული მეგობრობის პათოსი სურამის კულტურის ცენტრშიც განახლდა, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ადგილობრივი შემსრულებლები, ფოლკლორული ჯგუფები, ქორეოგრაფიული სტუდიები. განსაკუთრებულ ადფრთოვანებას ის ცეკვები იწვევდა, სადაც ქართული, მებრძოლი სული ჩანდა, სადაც ცეცხლი ენთო ჩვენგული. იყო ისრაელზე შექმნილი ლექსები, ებრაული ცეკვა და მუსიკა, ის, რაც ასე ენატრებოდათ, აახლოვებდათ და ახსენებდათ ისტორიულ სიახლოვესა და კავშირს. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასაშვილმა და რამლას მერმა იოვან ლაგმა, ამ ურთიერთობის განმტკიცება, გაღრმავება ისურვეს: -დღეს მეც ერთ-ერთი თქვენი ვარ და სურვილი მქონდა ამ ბავშვებთან ერთად ვდგარიყავი სცენაზე-აღნიშნა რამლას მერმა. არც ჩვენი სუფრა დარჩენილა უყურადღებოდ, ჩვენი სამზარეულო და ღვინო, აქაც არ ვთმობთ პირველობას-ვამაყოფთ და ვიწონებთ თავს. ისრაელის დელეგაციის ვიზიტი 5 დღეს მოიცავდა. ყველა დღე წინასწარ დაგეგმილი და გაწერილი იყო, მოიცავდა ქვეყნის გაცნობას, საქმიან



თ. ჯავახიშვილი



ბუნების კანონს რომ ადამიანთა მიერ შემუშავებული და მიღებული კანონებით ვერ შეცვლი, ალბათ ეს ყველასათვის გასაგებია, მაგრამ გაუგებარი ისაა, რომ ადამიანთა მიერ შემუშავებული კანონი ხშირად გადის ბუნებრივი კანონზომიერების ფარგლებიდან და იწვევს სხვადასხვანაირად მოაზროვნე ადამიანთა დაპირისპირებას, რადგან ადამიანურობას ზოგი მიწიერი წარმოდგენით ზომავს, ზოგი ზეციურით, ორივეს ერთობლიობაში მოქცევა კი ბევრისთვის წარმოუდგენელია.

მდებრობითი და მამრობითი წარმოშობის არსებობა შეჯვარების გარეშე რომ სიცოცხლის გაგრძელება შეუძლებელია, ალბათ ესეც ყველას ესმის და ამ შეჯვარების პროცესს რომ სხვადასხვა სახელი შეარქვას, ესეც არ არის ახალი ამბავი. საკითხავი ისაა, რომ ის, რაც ხდება რატომ არის ზოგისთვის საჩუქართო, ზოგისთვის – სააშკარაო, ზოგისთვის – საამაყო და ზოგისთვის – სასირცხვილო?!

გახსოვთ, ალბათ, რუსის მიერ ანგელოტად ქცეული გამონათქვამი, რომ საბჭოთა კავშირში სექსი არ არსებობსო. კი, მაგრამ 300 მილიონი საბჭოთა ადამიანი საიდან განნდა? საქმე ისაა, რომ ადამიანმა როცა სირცხვილის გრძობა შეიცნო, სასირცხლო ადგილზე ფოთოლი აიფარა. ამის შემდეგ ადამიანთა მოდგმა ცდილობს, რაც მას გააჩნია და რასაც მოქმედებს, ყველაფერი არ გახადოს სხვისთვის ხილული. ასე იყო ადამისა და ევას დროიდან დღემდე.

მდებრობითი და მამრობითი სქესის ადამიანთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ადამიანებმა შემოიღეს კანონები, რომლებიც ემყარებიან ისტორიულად არსებულ ტრადიციულ, მორალურ და ზნეობრივ კავშირებს, რელიგიურ რწმენას და ა.შ.

## მკითხველის ჰობიცია

# რისთვის ან რაგომ აცყდა განგაში ანუ ზოგს ქუდი ენვის და ზოგს დაძაღული ადგილი?

ქართველ ქალთა მიერ ტრადიციული, მორალური, ზნეობრივი და რელიგიური მრწამსის ერთგულებაზე ისიც კი მეტყველებს, რომ შაჰის ცოლობას ხშირად სიკვდილს ამჯობინებდნენ, რათა მისი ერის სულიერი სამყაროს სიწმინდე არ შერყეულიყო.

მე, ასეთი ეროვნების ქალების შთამომავალს, ვერ წარმომიდგინა, რომ ოდესმე მრუშობა არა თუ დასამალი, არამედ საამაყოც კი იქნებოდა. მე ვიცოდი, რომ სიყვარულს მალვა უნდოდა და ქალის და მამაკაცის ინტიმურ ურთიერთობაში სიყვარული სხვა იყო და სიძვა სხვა.

მე ვერ წარმოვიდგენდი, რომ ქართველ ქალს ისე გაუწყდებოდა შუბლის ძარღვი, ისე დაკარგავდა ქალურ ღირსებას, რომ საქვეყნოდ და სიამაყით ტელევიზიით განაცხადებდა, რომ მას ჰყავს შეყვარებული და დაკავებულია სექსით.

არც შეყვარებულის ყოლა და არც სექსი არავის ეკრძალება, მაგრამ თქვენი ლოგინის სიბინძურის ფრიალი არავის სიამოვნებს. ასეთი ნამუსგარეცხილი ქალები ქართველობას მაინც ნუ გაამხელენ და შეიღებენ ნუ დააყენებენ გარყვნილების შემგუებელ გზაზე.

რისთვის ატყდა ამ დღეებში განგაში, იმისათვის, რომ ზოგიერთების ლუსტრაცია მოხდა? რისთვის ვტყუთ განგაშს? განა ცოტა ფაქტი მომხდარა, როცა ქალები ძალადობის მსხვერპლნი გამხდარან, არატრადიციული და მიუღებელი ფორმებით სტანჯავდნენ და უღახავდნენ ღირსებას, მაგრამ ამით დასაცავად ქვეყანა ფეხზე არ დამდგარა?

თუ წლების წინ ვიდაცამ ვიდაცასთან სადღაც იცუდლუტა და ისიამოვნა, განა ეს დღეს ქვეყანამ უნდა იცოდეს? ამ ცუდლუტობაშიც ხომ უნდა გავარჩიოთ რას ჰქონდა ადგილი, დალატს, ძალადობას თუ ნებაყოფლობას? ანდა რა სახელმწიფოს საქმეა სხვის ლოგინში ძრომიალი, და რატომ უნდა იხარჯებოდეს გამოძიებელთა კორპუსის ძალისხმევა მოქალაქეთა ინტიმური კავშირების გამხმაურებელთა ძებნაში მაშინ, როცა ქვეყანაში ასეულობით მძიმე დანაშაულია გაუხსნელი?

მე ბრალს ვდებ ქართული ტელევიზიის ყველა არხს, იმის გამო, რომ რაც იცოდა ადამიანთა მცირე ჯგუფმა, ის ხელმისაწვდომი გახდა მილიონებისთვის და ხალხს მისცა ჭორაობის და ქილიკის საფუძველი. განა ეს ფარულად მოპოვებული მასალების დემონსტრირება არ არის? ამ ტელეგადაცემებმა საშიშროების ქვეშ დააყენეს ინტიმის მოქმედი პირები, რომელთა დიდი ნაწილი მე მსხვერპლად მიმანია. უკეთესი იქნებოდა მათ ვნებანი დაეოკებინათ, არც ქუდი დაეწვებოდათ და არც რამე აეწვებოდათ.

ენა აიღესეს ცანცარა ჟურნალისტებმა და აღარ იციან როგორ მოსცნონ ჩირქი ხელისუფლებას, თითქოს მას სიამოვნებდეს ქვეყანაში უნდობლობის, არეულობის და ამორალური ატმოსფეროს შექმნა. ნუთუ ამ ახალგაზრდა ჟურნალისტებმა, რომლებსაც თავი ხელშეუხებელ ღმერთებად წარმოუდგენიათ, არ იციან, რა მემკვიდრეობა მიიღო დღევანდელმა ხელისუფლებამ? ღმერთ-

მა იცის, კიდევ რა ფაქტები, ვის მიმართ და როდის ამოყოფენ თავს. მე კი ის ვიცი, რომ პატიოსან ადამიანს არაფრის ეშინია.

მეც უკმაყოფილო ვარ კოპაბიტაციით, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, წინა ხელისუფლების ყველა კანონდამრღვევი რომ დაეპატიმრებინათ, სახელმწიფო ერთ დიდ სატუსალოდ გადაიქცეოდა, ბევრ ბავშვს ბავშვობა გაუმწარდებოდა, ბევრი ოჯახი გაუბედურდებოდა, წლების შემდეგ ტუსაღები აგრესიული განწყობით დაუბრუნდებოდნენ საზოგადოებას და შექმნიდნენ არასახარბიელო პოლიტიკურ ამინდს.

რამ გამოიწვია სხვისი პირადი ცხოვრების ასეთი თავგამოდებით დაცვა? განა პირადი სიცოცხლე ან ჯანმრთელობა ნაკლებმნიშვნელოვანია, რომ განგაშს არ ტყუენ მისი ხელყოფის გამო? რა ტელევიზიის საქმეა ოჯახური ურთიერთობების მოგვარება, მას ხომ კანონი არეგულირებს? ტელევიზიამ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის განმტკიცებას და არა გარყვნილთა შეკოწიწებას. განა რა ფარულად გადაღებული კადრები უნდა ეჩვენებინათ ისეთი, როგორსაც არ აჩვენებენ ტელე და ვიდეო გადაცემებში? და კიდევ: თუ ოჯახი პატარა სახელმწიფოა, რატომ არ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება მასში და რატომ უნდა ვარიდებდეთ თვალს ყველაფერს ხომ სახელმწიფოს მომავალს ავნებს? მაინტერესებს, რატომ არის თავდასხმა სახელმწიფოზე ცალკეული ადამიანების ნამდვილი სახის შემცნობი მონაცემების გამჟღავნება, მაშინ, როცა ცნობადი პირები აშკარად ამბობენ, რომ ჰქონდათ, აქვთ და ექნებათ ოჯახგარე სექსუალური კავშირები.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ფარულ ჩანაწერთა შემოქმედი პირები ისევე ფარული და ნაწილობრივ აშკარა საგამოძიებო მოქმედებებით უნდა აღმოვაჩინოთ, ამისთვის კი უნდა დაიხარჯოს სახელმწიფოს უდიდესი ფინანსები, ოპერატიული, საგამოძიებო და სხვა სამსახურების თანამშრომელთა სამუშაო დრო და ენერჯია, ხელმძღვანელთა თათბირებზე საკითხის მიმდინარეობის შესახებ მოსმენების აურაცხელი საათები და ათასი მისთანანი.

წერილის დასასრულს მინდა გავაკეთო დასკვნა:

1. ყველამ თავის ერთ ადგილს მოუაროს, გართობისას კი გაითვალისწინოს და შეეგუოს იმას, რომ ამ ქვეყნად მუდმივად არაფერი დაიძალებოდა და მალე ყველაფერი სააშკარაოზე გამოვა.
2. საინფორმაციო საშუალებებმა ნაკლებად ან საერთოდ არ მიაქციონ ყურადღება მოქალაქეთა პირადი ცხოვრების გაშუქების საკითხებს და ამით აღმოფხვრან ხალხში ზედმეტი მითქმა-მოთქმის, ჭორაობის და გაღიზიანების საფუძველები.
3. საინფორმაციო საშუალებებმა გაითვალისწინონ, რომ მაყურებლის დაინტერესების მიზნით ისეთს ვერაფერს გვეტყვიან და გვანგებენ, როგორც არ გაგვიგონია ან არ გვინახავს, თუნდაც სხვადასხვა წყაროებში.
4. საჯაროობა არ ნიშნავს გამოძიების დამთავრებამდე ყველაფრის სააშკარაოზე გამოტანას და უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევის დაშვებისა და ამისათვის დაუსჯელობის ატმოსფეროს შექმნას. ამით იქმნება დანაშაულის წინააღმდეგ დანაშაულებრივად ბრძოლის საფუძველები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არ არსებობს ფარული გადაღებით დაზარალებულის საჩივარი.
5. საჭიროა, ერთხელ მაინც დაფუშვით იმის პრეცედენტი, რომ დაისაჯოს ნებისმიერი ინფორმატორი, როცა მოქალაქეს ბრალს სდებენ დანაშაულის ჩადენაში, ხოლო გამოძიების დამთავრებისას სასამართლოს მის მიმართ გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი.
6. სასტიკად უნდა აიკრძალოს საქმის გამოძიების მიმდინარეობის გაშუქება სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე და უნდა ისჯებოდეს ის პირები, ვინაც დაუშვა უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევა.
7. საინფორმაციო საშუალებებმა, მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ფარულად გადაღება-გავრცელების შემთხვევაში განგაში უნდა ატყუონ მხოლოდ მაშინ, თუ მასალა შეიცავს ცილისმწამებლურ და ფალსიფიცირებულ მონაცემებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პიროვნების დაცვის ნაცვლად, ვლებულობთ მისი ღირსების გათელვას საჭიროა ნიადაგის შექმნისა და გაფართოების სახით.
8. პირად ურთიერთობას, რა თქმა უნდა, კანონი ვერავის აუკრძალავს, მაგრამ მეექვსეა, რომ გარყვნილმა მასწავლებელმა მოსწავლეებს ჩაუნერგოს ტარიელ-ნესტანის და ავთანდილ-თინათინისებური სიყვარულის გრძობა.
9. ვგმობ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მოქალაქის მიმართ ფარულ თვალთვალს და მაკომპრომატირებელი მასალების შეგროვებას და მოვუწოდებ მის გამაგრებლებებს, ნუ წამოეგებიან პროვოკაციის შემკვეთთა ავანტიურას.
10. მოვუწოდებ მოსახლეობას, რომ ცხოვრებას ორივე თვალთ შეხედოს, თორემ ერის გადაშენებისათვის კაცთა კვლა აღარაა საჭირო, ყველაფერზე თვალის დახუჭვით მოდაში შემოვა უსირცხვილობა და ერთსქესიანთა ქორწინება, ამიტომაც, არ ღირს განგაშის ატყევა იმათ დასაცავად, ვინც ამორალურ ცხოვრებას ეწევა, ავადმყოფი სხეულის მოშორება ცოდვაში არ ითვლება.

რეჯან გრიგაძე-მჭირი

სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხა

N	ადმინისტრაციული ორგანო	სოფელი	გამოყოფილი თანხა	პროექტის დასახელება
			856827	
1	სურამი	დაბა სურამი	140000	სანიაღვრე არხების მოწყობა
2		ურთხვა	2000	პატარა წყაროსთან სკვერის მოწყობა
3			6000	გზის მოხრეშვა
4		ბიჯნისი	9500	სტადიონის შემოღობვა
5		ზეკოტა	8000	სკვერის მოწყობა
6		დიდი ბეკამი	7427	სანიაღვრე არხების მოწყობა
7		პატარა ბეკამი	9700	სანიაღვრე არხების მოწყობა
8	ხცისი	ხცისი	23000	წყლის სისტემის მოწყობა
9		მიწობი	9500	საბავშვო ბაღის მშენებლობის დასრულება
10		კრისხევი	5000	წყლის მაგისტრალის მშენებლობა
11	წრომი	ახალშენი	5000	წრომის ადმინისტრაციულ შენობის რეაბილიტაცია
12		წრომი	18000	
13		ნადარბაზევი	4000	
14		იმერლიანთკარი	1000	
15		დიდი ხავლეტი	2900	
16		დიდი ყელეტი	4500	
17		პატარა ყელეტი	4500	
18	ხალები	დიდი ხალები	4300	
19		პატარა ხალები	4000	სანიაღვრე არხების მოწყობა
20		ღართა	4300	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და წყლის სისტემის მოწყობა
21		სარტყელა	6400	ახალი სათავე ნაგებობის და წყლის სისტემის მოწყობა
22		ღვრია წყალი	4300	არტეზიული ჭის მოწყობა და არსებული ჭის დადმავება
23		ალექსანდრეს წყარო	4000	სანიაღვრე არხების მოწყობა
24	ქვიშხეთი	ქვიშხეთი	20000	სანიაღვრე არხების მოწყობა
25		ქვიშხეთი	30000	წყლის სისტემების რეაბილიტაცია
26		მონასტერი	3000	გარე განათების მოწყობა
27		მონასტერი	2000	გზის რეაბილიტაცია
28		ბულბულისციხე	2000	გარე განათების მოწყობა
29		ბულბულისციხე	2000	წყლის სისტემის რეაბილიტაცია
30		ბედლითი	4000	სანიაღვრე არხების მოწყობა
31		სათივე	6000	წყლის სისტემის მოწყობა
32		სარმანიშვილისკარი	4000	გზის სავალი ნაწილის გამაგრება
33		ტაშისკარი	10000	წყლის სისტემის მოწყობა
34		ტეზერი	15000	სანიაღვრე არხების მოწყობა
35		ყიფიანთუბანი	3000	სანიაღვრე არხების მოწყობა
36		სავანისუბანი	5000	მინი სტადიონის მოწყობა
37		რუსაანთუბანი	4000	სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა
38	ცხრამუხა	ცხრამუხა	17000	სკვერის კეთილმოწყობა
39		ცხრამუხა	30000	ბიბლიოთეკის მშენებლობა
40		თაგვეთი	4900	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და დაზიანებული მაგისტრალის რეაბილიტაცია
41		კოდისწყარო	2000	გზის მოხრეშვა
42		რბონა	3000	გზის მოხრეშვა
43		დამჩხეულა	4100	გზის მოხრეშვა
44		ქაშვეთი	2000	გარე განათების მოწყობა
45	ოსიაური	ზემო ოსიაური	21000	სასაფლაოს გალავნის მშენებლობა და შესასვლელი კარების მოწყობა
46		ქვემო ოსიაური	28000	ბაღის შემოღობვა და შესასვლელის მოწყობა
47		ახალსოფელი	5000	სასაფლაოს გალავნის მშენებლობა
48		ღუდა		
49	გომი	გომი	28000	ძველი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის დასრულება
50		ხიდი ყური	4900	არსებული სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია და ქსელის მოწყობა
51		ვაყა	10000	გარე განათების მოწყობა
52		ვაყა	16400	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა
53		ქვემო ამვისი	5400	სანიაღვრე არხების მოწყობა
54		დიდი სატივე	8900	სარიტუალო დარბაზში ალტერნატიული საბავშვო ბაღის მოწყობა
55		პატარა სატივე	4900	მდ.სურამულას კალაპოტის გაწმენდა და ჯებირების გამაგრება
56		აგარები	5800	ატრაქციონების შესყიდვა
57	ფლევი	დიდი ფლევი	20000	წყლის ქსელის/სისტემის მოწყობა

სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხა

58		კატარა ფლევი	8700	წყაროს მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია-შემოღობვა, დებეტის დამატება
59		ნაცარგორა	8300	გარე განათების მოწყობა
60		ტკოცა	16000	სანიაღვრე არხების მოწყობა
61	ალი	ალი	35000	გარე განათების მოწყობა
62		ბრილი	10600	გარე განათების მოწყობა
63		ახალუბანი	5000	გარე განათების მოწყობა
64		დუმაცხოვი	6000	გარე განათების მოწყობა
65		ზემო აძვისი	5600	გარე განათების მოწყობა
66		კლდისწყარო	4000	გარე განათების მოწყობა
67		მცხეთიჯვარი	8000	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა
68		უწლევი	2200	საუბნო სასმელი წყაროს კეთილმოწყობა
69		ნაბახტევი	18000	გარე განათების მოწყობა
70		ქინმათი	8000	გარე განათების მოწყობა
71		ქინმათი	8500	სოფლის სასაფლაოს შემოღობვა
72	წალვლი	წალვლი	21000	უბნებს შორის დამაკავშირებელი ბეტონის გზის გაკეთება
73		კლდისწყარო	6000	ორის სასმელი წყაროს და სათავე ნაგებობის კაპიტალური რეემონტი
74		ქვემო ბროლოსანი	6300	ატრაქციონების შექმნა-დამონტაჟება
75		ზემო ბროლოსანი	5500	გარე განათების მოწყობა
76		ჩორჩანა	4900	მოსაცდელის აშენება
77		წელვერი	4600	წყაროს სათავე ნაგებობის მოწყობა და წყლის სოფელში მიყვანა
78		ტიტვინის წყარო	4100	სოფლის მისასვლელი გზის 100 მ მონაკვეთის მოჭრა და კეთილმოწყობა
79		ყობი		
80	ცოცხნარა	ცოცხნარა	9300	კულტურული ცენტრის მოწყობა
81		ქემფერი	6000	ნარვანის უბანში მდინარის კალაპოტის გაწმენდა
82		ქემფერი	3000	სტადიონის მესერის აღდგენა
83		ქემფერი	4000	საბავშვო მოედნის მოწყობა
84		წაბლოვანა	5100	სარიტუალო დარბაზის მშენებლობის გაგრძელება
85		ცედანი	5300	წყლის სისტემის მოწყობა
86		ომისი	4500	წყლის სისტემის მოწყობა
87		ცივწყარო	4700	წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა

**ხახვი ძვირფასი ბოსტნეული კულტურაა**

თავიანი ხახვი - „აღლიუმ ცეპა“ . ერთლებნიანი ჯვარედინად დამბტ-ვერაი მრავალწლიანი მცენარეა. პრაქტიკაში ის ერთ, ორ ან სამწლიანი კულტურის სახით მოჰყავთ. ნორმალურ პირობებში პირველ წელს ივითარებს ფოთლებსა და ბოლქვს, ხოლო მეორე წელს იძლევა თესლს. ხახვის სამშობლო აზიაა, მის გარეულ ფორმებს დღესაც ვხვდებით ავღანეთის, ირანისა და თურქმენეთის მიწებში ჩვენში უძველესი ისტორია აქვს. გამოიყენება მცენარის ბოლქვი და მწვანე ფოთი. ხახვი შეიცავს ფიტონციდებს, რაც მას ბაქტერიოციდულ თვისებებს ანიჭებს. ხახვში ბევრია კალიუმი, ასკორბინის მჟავა, სხვა ვიტამინები ამ და სხვა თვისებების გამო ხახვი ძვირფასი ბოსტნეული კულტურაა ჯიშები ძალიან ბევრია. სამეურნეო - პრაქტიკული თვალსაზრისით იყოფა ცხარე, ნახევრად ცხარე და ტკბილ ჯიშებად. ბოლქვები ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს ბრტყელიმრგვალი და ოვალური. შეფერვით - თეთრი, ყვითელი, წითელი და ვარდისფერი. ხახვის თესლი შავია, სამწახნაგა, დანაოჭებული, კანი მაგარი, ამიტომ მისი



გალივება ნელა ხდება აღმოცენება: 10 - 14 დღეში ამოდის, თუ არახელსაყრელი პირობებია, აღმოცენება კიდევ 8 - 10 დღით შეფერხდება ხახვი შეიძლება მოვიყვანოთ თესლის დათესვით, ჩითილისა და წვრილი

ბოლქვების (კვიტიკის) დარგვით. ხახვი, რაც შეიძლება, ადრე გაზაფხულზე უნდა დაითესოს დათესვის წესისა და კვების არის გათვალისწინებით, 1 ჰექტარზე საჭიროა 5 - 7 კგ ხახვის თესლი, 300 - 400 კგ წვრილი ბოლქვი. ხახვი მოითხოვს ზედმიწევნით სუფთა, სარეველა ბალახებისა-გან გაწმენდილ, მსუბუქ, განოყიერებულ და კარგად დამუშავებულ ნიადაგს, ნიადაგის არეს რეაქცია უნდა იყოს 6 - 7. ხახვზე ნაკვეთის მოხვნა შემოდგომით სჯობია, ხვნის წინ უნდა შევიტანოთ საქონლის გადამწვარი ნაკელი და ფოსფორ - კალიუმიანი სასუქები ნიადაგის აგროქიმიური ანალიზის მონაცემების საფუძველზე. ადრე გაზაფხულზე აუცილებელია კულტივაციის ჩატარება, ნაკვეთის მომზადება დასათესად.



აზოტიანი სასუქები გამოიყენოთ ნათესის გამოკვებისას ნათესში ტარდება ნიადაგის გაფხვიერება, მარგვლა, მცენარეების გამოსწორება აუცილებელია ხახვის მავნებელ - დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, მორწყვა წყლით. ხახვის მოსავლის აღებას იწყებენ, როდესაც ფოთი გახმება; აღება უნდა მოხდეს მშრალ ამინდში, ამოთხრილი ბოლქვები მთელი დღით ნაკვეთზე თხლად გაიფინება და დღის ბოლოს წაეჭრება ფოთი ბოლქვის ყელიდან 3 - 4 სმ ზევით, ფესვი კი - ძირიდან 0,5 სმ დაცილებით ხახვი მაშინ არის სავსებით გამომწვარი, როდესაც ყელი გახმება, ხოლო ზედა მფარავი ქერქლი შეახმება და შეიფერება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია 1 ჰექტარზე მიღებული იქნას 70 - 80 ტონა მოსავალი ხახვის კულტურის მოვლა - მოყვანით დაინტერესებულ ფერმერებს სრული ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურს

ავთანდილ გოგაძე,

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საინტერესო  
შეხვედრა

21 მარტს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, პოეტი და პროზაიკოსი გიორგი კეკელიძე ესტუმრა. შეხვედრა განსაკუთრებულად დაიწყო – სკოლის მოსწავლე ნინო რომუაშვილი სპეციალურად ამ

მა ბიბლიოთეკამ და „ჯეოსელმა“ საზოგადოებას უნიკალური პროექტი შესთავაზეს, რომლის მიზანაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაფანტული ფოტოების მოძიება, ციფრულ ვერსიაში გადატანა, არქივში განთავსება და ამ გზით განადგურებისგან მათი გადარჩენაა. ავტორმა ასევე დასძინა, რომ „ციფრული ფოტომატიანე“ მიზნად არ ისახავს მხოლოდ



დღისთვის გურიას, ოზურგეთის პირველ საჯარო სკოლას ესტუმრა, სადაც ავტორი სწავლობდა და სამახსოვრო ვიდეორგოლი შექმნა, სადაც აღმზრდელი პედაგოგები ქება-დიდებას არ იშურებდნენ მწერლის შესამკობად.

შეხვედრაზე გაიმართა გიორგი კეკელიძის ახალი წიგნის პრეზენტაცია „ორი თავგადასავალი“. წარმოდგენილი იყო ასევე მწერლის სხვა წიგნებიც: „ცხრათავიანი ფეხბურთის ამბავი“ და „გურული დღიურები“.

ოლოდ საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანების ფოტოების ციფრულ ფორმატში გადაყვანას. ეს ერთგვარი მცდელობაა, რომ თითოეულ ადამიანის ჩართულობით შეივსოს ის დანაკლისი, რომელიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზების გამო ქართულ საზოგადოებას ჰქონდა.

გიორგი კეკელიძე: ხაშურის ბიბლიოთეკა არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიბლიოთეკა. ჩვენ ყოველთვის აქტიურად ვთანამშრომ-



მსურველებს შესაძლებლობა ეძლეოდათ შეეძინათ როგორც მწერლის წიგნები, ასევე უცხოური ლიტერატურაც, შეღავათიან ფასებში. თუმცა, საუბრის ძირითადი თემა მაინც წიგნის მნიშვნელობა იყო. ბატონმა გიორგიმ თავადვე აღნიშნა: „წიგნი არის უნიკალური გამოცდილება, პირველ რიგში, მკითხველისთვის, ცხადია, ჩვენ ამგვარი გამოცდილება შეიძლება დაეინახოს თეატრში, კინოში და ხელოვნების სხვადასხვა დარგში, მაგრამ არცერთი დარგი ის არ აღვივებს ფანტაზიას ადამიანში და გადააყვავს სხვა ადამიანის სამყაროში, როგორც წიგნი. წიგნის ეს უპირატესობა უნიკალურია.“

ავტორმა შემდეგი ინიციატივაც გააცნო ბიბლიოთეკის სტუმრებს: „ერთად შევქმნათ ციფრული „ფოტომატიანე“ – ამ გზავნილით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ-

ლობთ. ციფრული ფოტომატიანის შემთხვევაში აქტიურად ხდება ახრთა გაცვლა-გამოცვლა. საზგასმით მინდა ვთქვა, რომ ეს იყო მეტად კარგი შეხვედრა, შეხვედრა მეტად განათლებულ საზოგადოებასთან. ვისაუბრეთ წიგნებზე და წიგნის გავლენაზე ჩვენ ახალგაზრდებზე. მე, ჩემის მხრივ ძალიან კმაყოფილი ვარ შეხვედრით.“

შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს წარმომადგენლები, ასევე გამომცემლობა „არტანუჯის“ მთავარი რედაქტორი, ზვიად კვარაცხელია, რომლის წიგნებიც ასევე ხელმისაწვდომი იყო სტუმრებისთვის. სადამო ხაშურელმა მოსწავლეებმა გაახალისეს, რომლებმაც მწერლის პოეზიიდან რჩეული ლექსები წაიკითხეს.

მ. ახალკასი

ხაშური დასუფთავების აქციის  
შედეგად

22 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, პროექტ „დასუფთავება საქართველოს“ ფარგლებში გამართულ დასუფთავების აქციაში ჩაერთვნენ. აქციას მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი და გამგებლის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძეც შეუერთდნენ. აქციის ფარგლებში დასუფთავდა ქალაქის შემოსასვლელი სამხრეთიდან. დასუფთავების აქცია წყლის რესურსების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა და საქართველოს მწვეანეთა მოძრაობის მიერ იყო ინიცირებული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1993 წელს მიღებული 47/193 რეზოლუციით 22 მარტი წყლის რესურსების საერთაშორისო დღედ გამოცხადდა. უკვე 23 წელია, რაც მსოფლიო ამ დღეს სხვადასხვა ღონისძიებებით აღნიშნავს. აქციის შემდეგ, მონაწილეებმა გამოთქვეს იმედი, რომ მსგავსი ღონისძიება ერთჯერადი არ იქნება და, რაც მთავარია, მასში მოსახლეობის უფრო ფართო მასები ჩაერთვებიან.



წარმაცება ახმეცაში

ამ დღეებში, ქალაქ ახმეტაში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2002-2004 წლებში დაბადებულთა შორის. ტურნირზე ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდები იყვნენ წარმოდგენილი. მასში ჩვენი მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ. შესანიშნავი მწვრთნელების – სპორტის ოსტატის ქახა ლომიძისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის მავლად მჭადლიძის შეგირდებმა მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზეს და საერთო ჯამში ერთი ოქროს, სამი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდნენ. ჩემპიონობა ბექა გელაშვილმა (50 კგ.) მოიპოვა, რომელმაც უმანსოდ დატოვა ყველა მეტოქე და ღირსეულად ავიდა პედესტალის უმაღლეს საფეხურზე. მეორე ადგილზე მიშიკო ნოზაძე (32 კგ.), იონა ვეშაპიძე ((38 კგ.) და გიორგი გელაშვილი (54 კგ.) გავიდნენ. ბრინჯაოს მედლები კი გიორგი ლაბაძემ (35 კგ.), ჯაბა ხაჩიძემ ( 58 კგ.) და ირაკლი ჭყვიძემ (66 კგ.) ირგუნეს. წელს პატარა სპორტსმენებს კიდევ მრავალ დაგეგმილ ტურნირში უწევთ ასპარეზობა და იმედია, ისინი იქაც არ შეირცხვენენ თავს.

სურათზე (მარცხნიდან): ბიორბი ლაბაძე, ირაკლი ჭყვიძე, ბიორბი ბელაშვილი, იონა ვეშაპიძე, ბექა გელაშვილი, მიშიკო ნოზაძე, ჯაბა ზაჩიძე, უკანა რიგში მწვრთნელები მავლად მჭადლიძე და ქახა ლომიძე.



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.  
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.  
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუსიაშვილი.

# საქართველოს გაბარდობა

საქართველოს გაბარდობა

საქართველოს გაბარდობა

D ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30



დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ. ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კოპწია შენობა, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმყუდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი. არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადაღლილნი სულის სიმყუდროვეს ვიპოვით, სადაც თბილად



მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაყრდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს, სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლოგანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე.



- საბჭოთა კავშირის 7 საოცრება:**
1. ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი
  2. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი არავინ არ მუშაობდა
  3. მიუხედავად იმისა, რომ არავინ არ მუშაობდა გეგმა 100% სრულდებოდა
  4. მიუხედავად იმისა, რომ გეგმა 100% სრულდებოდა, მაღაზიებში მაინც არაფერი არ იყო
  5. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიებში არაფერი არ იყო მაინც ყველას ყველაფერი ჰქონდა
  6. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ყველაფერი ჰქონდა მაინც იპარავდნენ
  7. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს იპარავდნენ მაინც ყველას ყველაფერი ყოფნიდა.



















ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,  
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail [Khashurismoambe 2015@gmail.com](mailto:Khashurismoambe 2015@gmail.com) საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტი-  
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

შ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.